საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 793/01
31/01/2022

793-01-2-202201311552

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას"

მის: ჭავჭავაძის გამზირი №34, სართ. 6

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 12 იანვრის №226 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თელავში, სოფელ ვარდისუბანში არსებულ ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მაწანწარა საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 90 მეტრით. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში განხილული და შეფასებული უნდა იქნეს დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ზედაპირული წყლის ობიექტზე, მდინარე მაწანწარაზე, მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044